სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 73

2014 წლის 20 აგვისტო

ქ. თბილისი

**„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2014 წლის კონკურსზე წარმოდგენილი**

**საგრანტო პროექტის მოხსნის შესახებ**

„ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის N120 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 9 ივნისის N51 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 16 ივლისის N64 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2014 წლის 22 ივლისის N1 სხდომის ოქმისა და 18 აგვსტოს N2 სხდომის ოქმის, საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 23 ივნისის N120

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 1014 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2014 წლის 9 ივნისის N51 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო მოხსნილ იქნას კონკურსიდან YS/6/1-10/14 (მირიან მახარაძე) საგრანტო პროექტი.

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გამოქვეყნება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მის. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6)

**თინათინ ბოჭორიშვილი**

**გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**